

ინფორმაცია, დეზინფორმაცია და პროპაგანდა ომის არსენალში

ლაურა კუტუბიძე, ლალი ძამუკაშვილი

საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია, დეზინფორმაცია, პროპაგანდა, საზოგადოებასთან ურთიერთობა (პიარი), ინფორმაციული ომი, დენაციფიკაცია, სოციალური მედია, მეშები, ზელენსკი

უკვე შედგარ გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში, როცა მიიჩნეოდა, რომ მესამე მსოფლიო ომი საინფორმაციო ომი იქნება და, არათუ იქნება, არის კიდევ, „ნამდვილი“, „ტრა-დიციული“ მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით: ტანკებით, დაბომბვებით, სარაკეტო იერიშებით და პლუს, წინა ორი მსოფლიო ომისაგან განსხვავებით – დროებით! მთავარი განსხვავება მაინც მძლავრი საინფორმაციო იარაღია. რუსეთ-უკრაინის ომს, რომელმაც, უკრაინის არნახულ მობილიზებასთან ერთად, რუსული აგრესიის წინააღმდეგ დასავლეთის შეკავშირებაც გამოიწვია, „მედიამანქანის“, როგორც თანამედროვე სამყაროს მძლავრი არსენალის მაქსიმალური ამოქმედება გამოარჩევს. ტრადიციული მედიასაშუალებების პოტენციალი ვერც შეედრება იმ უსაზღვრო შესაძლებლობებს, რასაც სოციალური მედია ფლობს ინფორმაციისა თუ დეზინფორმაციის გავრცელებისათვის, ფაქტობრივად შეუზღუდავ დროსა და სივრცეში.

რუსეთ-უკრაინის ომის მეინსტრიმულ საინფორმაციო ნაკადებში აშკარად შეიმჩნევა, რომ რუსული პროპაგანდისა და კონსპიროლოგიის „ოვერტონის ფანჯრები“ ძირითადად „შიგნით იღება“, ანუ რუსეთის უზარმაზარი შიდა აუდიტორიისკენ არის მიმართული, ხოლო უკრაინის საინფორმაციო არსენალი ეფექტურად მუშაობს გლობალურ საინფორმაციო რეჟიმში.

“**მ**ოვლენათა შესახებ ჩემი ანგარიშების პრინციპად გავიხადე, არ ჩამეწერა პირველივე ამბავი, რომელსაც წავაწყდებოდი, და არც პირადი შთაბეჭდილებებით მეხელმძღვანელა. ან თავად მე ვიყავი იმ მოვლენების მომსწრე, რომლებიც აღვწერე, ანდა ისინი მოსმენილი მქონდა თვითმხილველთაგან, რომელთა ცნობებს შემდეგ ძალზე დეტალურად ვამოწმებდი. სიმართლე მაინც არ იყო ადვილი მისაგნები: სხვადასხვა თვითმხილველი განსხვავებულად განიხილავდა ერთსა და იმავე მოვლენას და ლაპარაკობდა ან ერთი, ან მეორე მხარის ინტერესებიდან გამომდინარე“.¹

ასე წერდა პელოპონესის ომის მიმოხილვის შესავალში ბერძენი „კორესპონდენტი“ თუკიკიდე, რომელსაც უნდოდა თავისი აუდიტორია დაერწმუნებინა, რომ მისი ნდობა შეიძლებოდა. მას უნდოდა ხალხს სიმართლე სცოდნოდა ომზე. რას წარმოიდგენდა პელოპონესის ომის ჟამთააღმწერელი, რომ 2500 წლის

შემდეგ, ინფორმაციის მოპოვების, შემოწმებისა და გავრცელების უსაზღვრო შესაძლებლობების ეპოქაში, გლობალურ საინფორმაციო სივრცეს ვირუსულად მოედებოდა ყალბი ინფორმაციები და, საერთოდაც, ინფორმაცია მძლავრ იარაღად იქცეოდა.

თუ ათვლის წერტილად თუკიკიდე დროს, ანუ ანტიკურ ხანას ავიღებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ იქიდან დღემდე ინფორმაციული პროცესის წრებრუნვა ერთ წერტილში იკვეთება – ამბის/ამბების სიმართლითა და სიზუსტით გადმოცემის მთავარი და ყველაზე უტყუარი პრინციპი ინფორმაციის მუდმივი გადამოწმებაა; და ამ თვალსაზრისით, თუკიკიდე დანაშაულებული, არაფერი შეცვლილა!

მთავარი ცვლილება ინფორმაციულ პროცესში ისაა, რომ საუკუნეები, ათასწლეულები, ცივილიზაციის ყოველ ეტაპზე, ინფორმაციის მოპოვება, ინფორმაციის სიმწიფე იყო მთავარი პრობლემა, მხოლოდ ბოლო სამიოდე ათწლეულში იქცა პრობლემად არა

¹ კოვანი, როზენსტილი, ჟურნალისტიკის, 2006, გვ. 82.

ინფორმაციის დეფიციტი, არამედ მისი პროფიციტი და ყოვლისწამლევკავ ინფორმაციულ ნაკადებში, ინფორმაციულ ქაოსში, მართალი და სანდო ამბების ამოფილტვრა.

„ინფორმაცია“ საზოგადოებრივი ინტერესის შესატყვის, გადამოწმებად ამბავს გულისხმობს, და ინფორმაცია, რომელიც ამ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, შესაბამის სტატუსს არ იმსახურებს“, – აღნიშნულია იუნესკოს ეგიდით გამოცემულ სახელმძღვანელოში „ჟურნალისტიკა, „ყალბი ამბები“ და დეზინფორმაცია“; ხოლო „დეზინფორმაცია“ ასეა განმარტებული: „ტერმინი დეზინფორმაცია ძირითადად ხალხის დაბნევისა და მანიპულირების მიზნით განზრახ (ხშირად მართულად) გავრცელებულ არაკეთილსინდისიერ ინფორმაციასთან მიმართებით გამოიყენება. ის ხშირად კომბინირებულია პარალელურ და კომუნიკაციების მკვეთრ სტრატეგიებთან და მოიცავს სხვა ტექტიკებსაც, როგორცაა სხვის ინფორმაციაში უკანონოდ შეღწევა ან ინდივიდების კომპრომეტირება“.²

ინფორმაციულ ომში დეზინფორმაციას ტანკებზე მეტი ძალა აქვს და ატარებს მას, – ვკითხულობთ „რადიო ფრანსის“ სტატიაში – „დეზინფორმაცია, ცენზურა, ჰაკერობა: საზოგადოებრივი აზრი, ომის ძარღვი უკრაინაში“.³

ცალკე კატეგორიაა მცდარი ინფორმაცია, რომელიც შექმნილია ან ვრცელდება მანიპულაციური ან მავნე განზრახვის გარეშე. საზოგადოებისთვის ორივე პრობლემაა, თუმცა დეზინფორმაცია გამორჩეულად საშიშია, რადგან ის ხშირად ორგანიზებულ სახეს ატარებს და კარგადაა უზრუნველყოფილი ფინანსურად და ტექნოლოგიურად.

დეზინფორმაციისა და მცდარი ინფორმაციის გავრცელება უმეტესწილად სოციალური ქსელების და სოციალური გზავნილების მეშვეობით ხდება; თანამედროვე საინფორმაციო სივრცეში (და არ მხოლოდ ონლაინში) ტრადიციული და სოციალური მედიის კონტენტი ისეა შერეული და შერწყმული, რომ მათი გამიჯვნა მედიის სპეციალისტებისთვისაც არაა ადვილი, არათუ ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის; შესაბამისად, ინფორმაციით მანიპულირების ბრალი უმე-

ტესწილად ჟურნალისტიკას ედება, თუმცა, ე.წ. სუსტი ჟურნალისტიკის, სტანდარტების უგულვებელმყოფი ჟურნალისტიკის პრობლემა პროფესიონალიზმის ნაკლებობაა და სუსტი ჟურნალისტიკა არ არის იგივე, რაც დეზინფორმაცია.

ჩვენი ინტერესის საგანი ამჯერად არა ამ თემის თეორიული ასპექტები, არამედ, რუსეთ-უკრაინის ომის საინფორმაციო რეზონანსია, რომლის „ამპლიტუდას“ განსაზღვრავს, ერთი მხრივ, რუსული „პროპაგანდისტული მანქანის“ ნარატივი და, მეორე მხრივ, უკრაინული ჰეროიკულ-პატრიოტული ნარატივი.

რუსეთ-უკრაინის ომის მეინსტრიმულ საინფორმაციო ნაკადებში აშკარად შეიმჩნევა რომ რუსული პროპაგანდისა და კონსპიროლოგიის „ოვერტონის ფანჯრები“ ძირითადად „შიგნით იღება“, ანუ რუსეთის უზარმაზარი შიდა აუდიტორიისკენ არის მიმართული, ხოლო უკრაინის კომუნიკაციური არსენალი ცდილობს ქვეყნის შიგნით ერთიანი სულისკვეთების შექმნას და დასავლური მხარდაჭერისა და დახმარების მოპოვებას რუსულ აგრესიასთან გასამკლავებლად.

რუსული პროპაგანდის შესაძლებლობებზე წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისია ითქვას, რომ რუსეთის მოსახლეობის უმეტესობა – მხარს უჭერს უკრაინასთან ომს; რუსეთის დამოუკიდებელ სოციოლოგთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგით, ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს, ომის მხარდამჭერთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ომის მხარდამჭერთა დიდ უმრავლესობას (73%) სჯერა სახელმწიფო მედიასაშუალებების.⁴

ძნელი წარმოსადგენია, რომ თანამედროვე გლობალური საინფორმაციო სივრცის პირობებში 140-მილიონიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტმა დაიჯეროს, რომ რუსული არმიის მიერ მიწასთან გასწორებული მარიუპოლი, ბუჩა, ირპენი, დაბომბილი სამშობიარო სახლები, ნაწამები და დახოცილი მშვიდობიანი მოსახლეობა, გაუპატიურებული ქალები და ბავშვები მხოლოდ და მხოლოდ სპეცოპერაციაა უკრაინელი „ნაცისტების“ წინააღმდეგ.

რუსული პროპაგანდის ხასიათის საუკეთესო

2 ირეტონი, პოპეტი, ჟურნალისტიკა, 2021, გვ. 7.

3 Desinformation, Radiofrance.fr, 2022.

4 Россияне одобряют войну в Украине. BBC, 2022; იგივე YouTobe-ს პლატფორმაზე, 2022.

ილუსტრაცია ანიმაციური ვიდეო „ვანია და მიკოლა“⁵, რომელიც მიზნად ისახავს, ბავშვებს რუსეთ-უკრაინის „კონფლიქტს“ მიზეზი აუხსნან. რუსი ვანია და უკრაინელი მიკოლა ბავშვობიდან მეგობრობდნენ, თუმცა მიკოლამ (უკრაინამ) სხვა მეგობრები გაიჩინა (აშშ, გერმანია) და ძველი მეგობრების (ლუგანსკის და დონეცკის) ჩაგვრა დაიწყო, რასაც ვანია (რუსეთი) შეეწინააღმდეგა და მიკოლას ჩაგვრის იარაღები წაართვა. უკრაინამ რუსული დასახლებების მითვისება დაიწყო, ამიტომ დონეცკის და ლუგანსკის ოლქებს გამოყოფა და რუსეთთან მიერთება მოუხდათ, უკრაინა არ დათანხმდა და დაიწყო ომი ამ ტერიტორიებთან; რუსეთმა სცადა ადამიანების მკვლელობის შეჩერება და საკითხის მშვიდობიანად გადაჭრა, მაგრამ უკრაინა მშვიდობისკენ არცერთ მოწოდებაზე არ რეაგირებდა, რის შემდეგაც რუსეთმა გადაწყვიტა უკრაინისთვის იარაღის წართმევა. ზოგიერთმა ქვეყანამ დაიწყო რუსეთის დადანიშნულება, რომ მან დაიწყო ომი. „მე ხომ მხოლოდ უკრაინის იარაღს ვანადგურებ, რომ მან დონეცკის და ლუგანსკის წინააღმდეგ არ გამოიყენოს? უპასუხა რუსეთმა. მაგრამ მას არ უსმენენ დასავლეთში, რადგან უკრაინა ყველას ეუბნება, რომ რუსეთს უნდა ხალხის დახოცვა“, – ამბობს ანიმაციის მთხრობელი.

„ჩვენი ქვეყანა ყოველთვის მშვიდობას უჭერს მხარს და ღიაა ნებისმიერი კონფლიქტის განხილვისთვის“, – ისმის ანიმაციის დასასრულს. ვიდეოს აწერია: „აჩვენეთ ეს თქვენს ბავშვებს: ზღაპარი ვანიასა და მიკოლაზე!“ (ვიდეოს ავტორად აღნიშნულია 1rus.ru, იგივე tsargrad.tv).

ამ ანიმაციაზე საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას, არა მხოლოდ ბავშვებზე ასეთი უხეში პროპაგანდისტული ზემოქმედების გამო, არამედ იმიტომ, რომ ამ ნარატივზეა აშენებული რუსეთის საინფორმაციო სივრცის ძირითადი მესიჯები, მით უფრო, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ფაქტობრივად, დაიხურა ყველა ოპოზიციური მედიასაშუალება.

საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე რუსეთის ხელისუფლებამ აკრძალა და დაბლოკა სიტყვა „ომის“ გამოყენება არა მხოლოდ მედიასაშუალებებსა და სოციალურ მედიაში, არამედ დასჯადი გახდა

ამ სიტყვის ხსენება ელემენტარული პროტესტისა და აზრის გამოხატვის დროსაც და ჩაანაცვლა იგი ტერმინით – „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“, ანუ „სპეცოპერაცია“.

„სპეცოპერაციის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი – უკრაინაში „ნაციზმის“ დამარცხება, ის ძირითადი ნარატივია, რომელზეც იგება რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მძლავრი ნაკადები.

ტელეარხ „ცარგრადის“ დამაარსებელმა კონსტანტინ მალოფეევმა ტელეეთერიდან გაავრცელა მოწოდება, რომ არაა საჭირო ცერემონიული დამოკიდებულება უკრაინელ ნეონაციისტებთან „აზოვის“ ბატალიონიდან: „მათ ისევე უნდა დაამთავრონ, როგორც დაამთავრეს იმათ, ვისთან მსგავსებაზეც ოცნებობენ“ – გასამართლებით და დახვრეტით.⁶

(„ცარგრადი“ ულტრაკონსერვატიული და პროპაგანდისტული მედიასაშუალებაა, რომლის მთავარი რედაქტორი წლების მანძილზე იყო რუსული იმპერიალიზმის მთავარი იდეოლოგი, ულტრანაციონალისტური და ნეოფაშისტური შეხედულებებით ცნობილი ალექსანდრ დუგინი).

„ვლადიმირ პუტინი თავის აგრესიულ ომს უკრაინის „დენაციფიკაციით“ ამართლებს. გერმანიის ფედერალური დაზვერვის შიდა დოკუმენტი მოწმობს, რომ მოსკოვის არმიას მხარს უჭერენ მემარჯვენე ექსტრემისტული დაჯგუფებები“, – წერს გერმანული „შპიგელი“. გერმანული დაზვერვის მონაცემებით, უკრაინაში მებრძოლი რუსული „მემარჯვენე ექსტრემისტები და ნაციონალები“ აღმოჩნდნენ „რუსული იმპერიული მოძრაობის“ დაჯგუფება „რუსიჩის“ ქვედანაყოფები.⁷ ასეთი ლიდით იწყება ბი-ბი-სის 22 მაისის პუბლიკაცია, რომელშიც „შპიგელზე“, „დოიჩე ველესა“ და „ტელეგრამზე“ და საკუთრივ ბი-ბი-სის მასალებზე დაყრდნობით, კონკრეტული ფაქტებით, გვარსახელებითა და ფოტომასალით სარწმუნო ხდება, რომ „ნაციისტები“ 2014 წლიდან მონაწილეობენ უკრაინაში რუსული ძალების სამხედრო ოპერაციებში და „განსაკუთრებული სისასტიკით“ არიან ცნობილნი.

რატომ მაინცდამაინც „დენაციფიკაცია“? ექსპერტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით „ნეტგაზეთი“ წერს, რომ „რუსეთის მოსახლეობისთვის მეორე მსოფ-

5 Сказка про Ваню и Мыколу, tsargrad.tv, 2022; პროპაგანდისტული ანიმაცია, ტვ ფორმულა, 2022.

6 ТРИБУНАЛ В ЛДНР, tsargrad.tv, 2022.

7 Германская разведка, BBC, 2022.

ლიო ომში დაღუპულთა ხსოვნა უმნიშვნელოვანესია და ეს „აღბათი ერთადერთი რამაა, რაც რუსეთში საზოგადოებას აერთიანებს“... ტერმინი ნაციზმისგან „გაწმენდას“ გულისხმობს. შესაბამისად, მის გამოყენებას უკრაინის წინააღმდეგ რამდენიმე სტრატეგიული მიზანი უნდა შეესრულებინა: ნაცისტის იარაღი მიეკვრებინა უკრაინის ხელისუფლებისთვის და მისი დამცველებისთვის; გაემიჯნა რუსეთი/რუსები და „ბოროტი“, ნაცისტი უკრაინელები; ქვეყნის შიგნით მოეხდინა მოსახლეობის კონსოლიდირება – განმთავისუფლებლის ხატის ხელმეორედ მორგებით“.⁸

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ „ნაციზმთან“ დაკავშირებით რუსული პროპაგანდის ისეთ „კრეატიულ“ მანიპულირებას, როგორცაა მოსკოვში, შვედეთის საელჩოსთან ავტობუსის გაჩერებებზე ცნობილი შვედების ფოტოების და მათი ისეთი განმანათქვამების განთავსება, რომლებიც, კონტექსტიდან ამოგლეჯილი, ჟღერს როგორც ნაციზმის გამართლება და მხარდაჭერა. მაგალითად, ასტრიდ ლინდგრენის სიტყვები: „მე მირჩევნია მთელი დარჩენილი ცხოვრება ვიყვირო „ჰაილ ჰიტლერ“, ვიდრე აქ, შვედეთში გვყავდეს რუსები. ამაზე ამაზრბენი არაფერი წარმომიდგენია“. სინამდვილეში ეს ციტატა იწყება ასე: „დასუსტებული გერმანია ჩვენთვის ნიშნავს იმას, რომ რუსები დაგვასხდნენ თავზე. ასეთ შემთხვევაში მე მირჩევნია...“;

ინგრიდ ბერგმანი: „წლების მანძილზე მე ვიყავი ჰიტლერის მომხრე, მიხაროდა მისი წარმატებები და განვიცდიდი მის მარცხს“. რეალურად, სრული ციტატა ამ სიტყვების შემდეგ ასე გრძელდება: „როცა ჩემამდე მოაღწია საკონცენტრაციო ბანაკების მტკიცებულებებმა, ჩემი გონება ეწინააღმდეგებოდა იმის მიღებას, რასაც თვალი ხედავდა; და როცა ტეშმარიტებამ გადალახა შინაგანი წინააღმდეგობა, სასოწარკვეთამ შემიპყრო და ზიზღი საკუთარი თავისა, რაც ისედაც მტანჯავდა, აუტანელი გახდა“.⁹

ეს პლაკატები განთავსებულია სლოვანით: „ჩვენ წინააღმდეგი ვართ ნაციზმის, ისინი – არა!“ აქ „ნაციზმთან შეურიგებლობის“ ლაიტმოტივს სხვა

პროპაგანდისტული დატვირთვაცა აქვს: ამ პლაკატების განთავსება და შვედების ნაციზმში დადანაშაულება დაემთხვა შვედეთისა და ფინეთის მიერ ნატო-ში გაწევრიანების განაცხადის შეტანის განზრახვის გაჟღერებას; ეს აქცენტი ფიგურირებს ბი-ბი-სის სიუჟეტშიც.

რუსული მედიის იდეური და ემოციური მუხტის ნაზავი ძალიან გვაგონებს მეორე მსოფლიო ომის დროინდელ პათოსს, ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად რომ იყო მიმართული.

„რუსები თავისიანებს არ ტოვებენ! ეს ელემენტარული ტეშმარიტება მსოფლიოს ყველა კუთხეშია ცნობილი; როცა გასაჭირი დგება, პირველად სწორედ რუსი ადამიანები მიდიან საშველად. ასეთი დრო ისევ დადგა. უკრაინასა და დონბასში ადამიანებს ყველაფრის გასაჭირი აქვთ: ბავშვებს ძალიან უნდათ თუნდაც შაქრის ნატეხი, უფროსებს ხშირად „ჟუჟუტიც“ არა აქვთ ტრილობისთვის. ჩვენ არ გვჩვევია ადამიანების დაყოფა ჩვენთანებად და სხვებად, ამიტომ გთხოვთ თითოეულს, დავეხმაროთ თუნდაც ერთი რუბლით“.¹⁰

ამ პუბლიკაციას ისეთი სულისშემძვრელი ფოტო აქვს წამძღვარებული (სურ. 1), რომლის მოშველიების გარეშე მის პათოსსა და პროპაგანდისტულ მანიპულირებაზე სათანადო წარმოდგენას ვერ შევიქმნით.

ამგვარი საინფორმაციო ნაკადის პარალელურად, არა მხოლოდ უკრაინულ, არამედ მსოფლიოს მეინსტრიმულ მედიასაშუალებებში, ვრცელდება ინფორმაციები, რომ რუსები ბრძოლის ველზე ტოვებენ დაღუპულ მეზობელთა ცხედრებს და უკრაინული მხარის არაერთი მიმართვის მიუხედავად, უარს აცხადებენ უკრაინელი სამხედროების მიერ სპეციალურ მატარებელ-რეფრიჟერატორებში მოთავსებული ცხედრების გადასვენებაზე; იკვეთება თვალსაზრისი, რომ ვინაიდან რუსეთი მაღავს საომარი მოქმედებების მსხვერპლთა რაოდენობას, ამიტომაც ამბობს უარს ცხედრების გადასვენებაზე.¹¹

ამ თემაზე მუშაობისას გავვიჩინა განცდა, რომ

8 ბურდული, რას ნიშნავს „დენაციფიკაცია“, 2022.

9 В Москве появились плакаты, BBC, 2022.

10 РУССКИЕ, tsargrad.tv, 2022.

11 Kremlin disrespecting families, The Guardian, 2022; Bodies of Dead Russian Soldiers, Euro news, 2022; Dixon, Raghavan, sabelle Khurshudyan, I., L. Stern, D., Russia's, 2022; Rainsford, Russian soldiers abandoned near Kyiv, 2022;

მიუხედავად დიდძალი საილუსტრაციო მასალის მობილიზებისა, არა მხოლოდ რუსული და უკრაინული, არამედ სხვადასხვა ქვეყნის მედიასაშუალებებიდან (რომელთა მხოლოდ მიზერული ნაწილის მოხმობაა შესაძლებელი ამ ფორმატში), საქართველოს ათვლის წერტილიდან ამ თემის განხილვა მაინც არის დაკავშირებული „დისტანციის დაცვის“ საფრთხესთან – რუსეთის დემონიზების და უკრაინის სიმპატიზირების თვალსაზრისით.

„ქართული საზოგადოების რეფლექსია უკრაინის მოვლენებზე განსაკუთრებულია. საქართველო, რომელიც თავად არის რუსული აგრესიისა და ოკუპაციის მსხვერპლი, უკრაინის მხარდაჭერაში განსაკუთრებულად ჩაერთო; ეს იყო ბუნებრივი რეაქცია იმ ხალხისა, რომელიც იგივე მოძალადის მსხვერპლი თავადაც არაერთხელ ყოფილა, და გარკვეულ „შვებასაც“ კი განიცდიდა, რომ, როგორც იქნა, მოძალადის (რუსეთის) რეალური სახე ახლა უკვე მთელმა მსოფლიომ დაინახა“.¹² – ეს ამონარიდი კარგად ხსნის ქართული მედიისა და საზოგადოების განსაკუთრებულ დაინტერესებას რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში, უკრაინის საკითხის გაშუქების ინტენსიობას და ემოციურ კავშირს, განსაკუთრებით საომარი მოქმედებების პირველი ორი თვის მანძილზე.

ომის დაწყებამდე არსებობდა მოლოდინი, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები მალე შეძლებდნენ უკრაინული ჯარის წინააღმდეგობის დაძლევას, კიევის აღებას და უკრაინაზე პოლიტიკური კონტროლის დამყარებას, მაგრამ უკრაინის თავგანწირულმა წინააღმდეგობამ შეარყია რუსული არმიის უძლეველობის მითი; ამასთან, უკრაინამ ეფექტური მედია და დიპლომატიური კამპანია წამოიწყო საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზაციის მიზნით; ყველა სახის მედიაპლატფორმა – ტრადიციული თუ სოციალური, გამოიყენა ომში რუსული წარუმატებლობის დემონსტრაციისთვის და, შესაბამისად, მსოფლიო მედიასივრცის დღის წესრიგისთვის უკრაინის თემა წამყვანი გახდა.

ამ ასპექტის განვითარებისას უკმარობის გრძნობა გაჩნდა, რომ თემის სათაურში არ ფიგურირებს სა-

ზოგადოებასთან ურთიერთობა (პიარი), რომელსაც ბევრჯერ იგივე პროპაგანდასთან ან ინფორმაციით მანიპულირებასთან აიგივებენ.

საზოგადოებასთან ურთიერთობა (პიარი) არა მანიპულირებისა და დემონიზაციის, არამედ მომგებიანი და ეფექტური კომუნიკაციის დამყარების ტექნოლოგია და ინსტრუმენტია. საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთმა ფუნქციონირებელმა აივი ლიმ, როცა 1906 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკუთარი სააგენტო დააარსა, უპირველეს ამოცანად დაისახა ყველაფერში ზუსტი ყოფილიყო და ნებისმიერი მისი ნათქვამი სიტყვის დამადასტურებელი ფაქტი დაედო მოთხოვნის შემთხვევაში.¹³ საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკაში ეს პრინციპი დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას.

უკრაინული საინფორმაციო რეჟიმის ღერძი გახდა პრემიერ-ვოლოდიმირ ზელენსკის ფიგურა, რომელიც საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე იქცა ქარიზმატულ ლიდერად. „სანამ უკრაინელი მებრძოლები შეუპოვრად იბრძვიან ბრძოლის ველზე, პრემიერ-ზელენსკი ინფორმაციულ ომს წარმართავს დასავლეთის დედაქალაქებში“, – წერს პოლ ადამსი, ბი-ბი-სის დიპლომატიური კორესპონდენტი, – „ორი კვირის მანძილზე მან მოასწრო სიტყვით გამოსვლა 10 ქვეყნის პარლამენტარების წინაშე. ყველა მისი გამოსვლის მთავარი მიზანი საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებაა, მაგრამ მისი სიტყვები ასევე გამიზნულია მთელი უკრაინელი ხალხისათვის. ის უკრაინულად საუბრობს და უარს ამბობს ამ ტიპის პოლიტიკური გამოსვლებისთვის გამიზნულ მკაცრ კოსტიუმებზე. ზელენსკიმ, რომლის რეიტინგი ომამდე რამდენიმე თვით ადრე მკვეთრად ეცემოდა, როგორც პოლიტიკოსმა წარმოუდგენელი ტრანსფორმაცია განიცადა.“

„მას შეუძლია ნაციის სულს განასახიერებდეს, – ამბობს თავდაცვითი კვლევების გაერთიანებული სამეფო ინსტიტუტის თანამშრომელი, – და არა მხოლოდ სიტყვებით, იმითაც, თუ როგორ გამოიყურება და როგორ ფონზეა გამოსვლების დროს“.¹⁴

ბუნებრივია, რომ უკრაინა მსოფლიოს წამყვანი

Ukraine, Aljazeera, 2022.

12 ანთაძე, აპოკალიფსის, 2022.

13 ვივანი, მასობრივი, თბ., 2013, გვ. 268.

14 Адамс, Уговор и критика, 2022.

მედიასაშუალებების ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები ეფექტურად იყენებენ ამ ყურადღებას რუსული პროპაგანდის დებინფორმაციულ ნაკადთან დასაპირისპირებლად. „ფრანს-პრესთან“ საუბარში უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ემინე ჯაფაროვა დებინფორმაციას მესამე მსოფლიო მსოფლიო ომს უწოდებს, „რომელსაც როგორც უხილავ რადიაციას, ვერ ვგრძნობთ და ვერც ვხეებით, მაგრამ იგი თავის მძიმე გავლენას ახდენს ადამიანებზე“.¹⁵

საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ამოქმედდა სოციალური მედიის განუსაზღვრელი შესაძლებლობები, რომელთაც თანაბარი წარმატებით მიმართავენ, ერთი მხრივ, უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები თუ მოქალაქეები დებინფორმაციასთან დასაპირისპირებლად, საგარეო ფრონტზე მაქსიმალური ყურადღებისა და მხარდაჭერის მობილიზებისა და ქვეყნის შიგნით მოსახლეობის სულისკვეთების გასაძლიერებლად და, მეორე მხრივ, სოციალური ქსელების მომხმარებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, უკრაინის მხარდაჭერისა და დახმარებისათვის. თუნდაც „ფეისბუქის“ ქართულ ჯგუფებში („სოლიდარობა ურაინას“, „Dopomoga Ukraini – უკრაინისთვის“ და სხვა) ათიათასობით ადამიანი გაერთიანებული; ამ ჯგუფების მიზანია საქართველოში მყოფი უკრაინის მოქალაქეების დახმარება, ჰუმანიტარული დახმარების მობილიზება საომარ ვითარებაში მყოფი ადამიანებისათვის, უკრაინაში რუსეთის ომის შესახებ სანდო, გადამოწმებული ინფორმაციების გავრცელება და სივრცის შექმნა ჯანსაღი დისკუსიისთვის და ა.შ.

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალურ ქსელებს, ღიაობისა და პლურალისტური გარემოს შექმნის პარალელურად, აქვს მარგინალური და ჩაკეტილი სივრცეების, ე.წ. სოციალური „ბაბლების“ შექმნის ტენდენციაც და ამის დემონსტრირება ქართულენოვანი ფეისბუქსივრცის პოლარიზება რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით. ორი განსხვავებული პოლუსი იკვეთება არა მხოლოდ ჯგუფებში, არამედ იმ კონკრეტული მომხმარებლების „კედლებსა“ თუ გვერდებზე, რომელთაც ათასობით „ფრენდი“

და გამომწერი ჰყავთ; თუ ერთი პოლუსი უკრაინის დროშის, დროშის ფერი ლურჯ-ყვითელი გულების და *Слава Україні!*-ს თანხლებით ინტენსიურად აზიარებს და აკომენტარებს პოზიტიურ და იმედისმომცემ ამბებს, მეორე პოლუსს „მასხარად“ და გამყიდველად ჰყავს შერაცხული პრეზიდენტი ზელენსკი და წინასწარმეტყველებენ, რომ უკრაინის ომში ჩათრევისთვის მას აუცილებლად გაასამართლებენ; უკრაინის ხელისუფლებასა და დასავლეთს ბრალს სდებენ ომში საქართველოს ჩათრევის განზრახვაში და, უფრო მეტიც, მესამე მსოფლიო ომის პროვოცირებაში და ა.შ. ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ამ პოლუსის პათოსი სრულ უნისონშია რუსულ დებინფორმაციულ ნარატივთან.

ამ მოხსენების ფორმატში შეუძლებელია შესაბამისი საილუსტრაციო მასალის მოხმობა, მაგრამ აუცილებლად უნდა შევაჩეროთ ყურადღება ომის საინფორმაციო ველის რამდენიმე მდგენელზე, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ჟურნალისტურ პროდუქციაზე არანაკლებ (და ზოგჯერ მეტადაც!) რეზონანსული ხდება და ეფექტურად „მუშაობს“.

საომარი მოქმედებების პირველივე დღეებიდან მედიაში ფიგურირებდა ინფორმაცია ლეგენდარულ უკრაინელ მფრინავზე, „კიევის აირდილზე“, რომელმაც მტრის არაერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო. აპრილის მიწურულს გავრცელდა ინფორმაცია, რომ სტეფან ტარაბალკა, რომელიც ამ ფსევდონიმის უკან იდგა, ბრძოლისას დაიღუპა. ამ ამბავს ზვავით აგორებული მეინსტრიმული საინფორმაციო ნაკადი მოჰყვა სოციალურ ქსელებში, განსაკუთრებით „ფეისბუქზე“.

უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო სარდლობამ გავრცელა განცხადება, რომ ინფორმაცია „კიევის აირდილის“ სავარაუდო გარდაცვალების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ის არ არის კონკრეტული პიროვნება; „კიევის აირდილი“ ავიაციის მე-40 ბრიგადის პილოტების კრებითი სახეა; „კიევის აირდილი ეს არის სუპერგმირი-ლეგენდა, რომელიც შექმნეს უკრაინელებმა. უფრო ზუსტად ეს არის კრებითი სახე საჰაერო ძალების ტაქტიკური ავიაციის მე-40 ბრიგადის პილოტების, რომლებიც იცავენ დედაქალაქის ცას და მოულოდნელად ჩნდები-

15 AGENCE FRANCE-PRESSE, La désinformation, 2022.

ბიან იქ, სადაც მათ არ ელიან“, – ნათქვამია განცხადებაში.¹⁶

ნიკოლოზ ლოლაძე, ფეისბუქმომხმარებელი, რომელსაც 9.000-ზე მეტი გამომწერი ჰყავს და რომელიც ყოველდღიურად აქვეყნებს პოსტებს საომარ ვითარებაზე, წერდა: „მეგობრებო, „კიევის აჩრდილი“ არის მითი – ზღაპრული გმირი, რომლის არსებობაც ძალიან სჭირდებოდა უკრაინას ომის პირველი დღეების წყვდიადში. დღეს უკრაინას ზღაპრები აღარ სჭირდება, ყოველი უკრაინელი – ფრონტის ხაზზე, თუ ზურგში, თუ ოკუპაციაში – გმირია, მათ საკუთარი ძალა იწამეს და ბუსტად იციან, რომ ყოველ მათგანში, კაცში და ქალში, არის ის ნაპერწკალი, ის ძალა, რომელიც მალე მორდორის ყველა ბინძურ ნათითურს უკვალოდ ამოშანთავს მათ მიწაზე.“ (@nikoloz.loladze)

ამგვარი რომანტიზებული-ჰეროიკული შეფერილობა მიიღო და ფართო რეზონანსი ჰპოვა არაერთმა ამბავმა, რომელთაგან ზოგიერთი, შესაძლოა, მართლაც მითოლოგიზებულია: ბოშების მიერ რუსული ტანკის მოპარვის ამბავი, უკრაინელი ტრაქტორისტების მიერ მიტოვებული რუსული ტექნიკის მოპოვება, უკრაინელი ლექტორის მიერ სანგრიდან მობილურით ჩატარებული ლექცია, უკრაინელი ბებო, რომელმაც ღვეზელით მოწამლა რუსი სამხედროები და სხვა ამგვარი.

კრეატიულად შეიძლება შეფასდეს საფოსტო მარკა, რომელიც „უკრაინის დამამბადა კუნძულ ზმინის დამცველების მიერ რუსული სამხედრო გემის „ცნობილი მიმართულებით“ გაშვების კონტენტზე (სურ. 2). მარკამ ბუმი გამოიწვია და კიდევ უფრო პოპულარული გახდა უკრაინელი სამხედროების მიერ რუსული ფლოტის ფლაგმან „მოსკვას“ ჩაძირვის შემდეგ. ხუთ დღეში თითქმის ნახევარი მილიონი მარკა გაიყიდა.¹⁷

დასასრულ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ სოციალურ ქსელებში ესოდენ პოპულარული ვიზუალური

მემები, რომლებშიც მყისიერად აისახა ომი და მისი თანმხლები პერიპეტეიები; მაგალითად:

„კიევი – რუსული ქალაქების დედა“: „რომ მცოდნოდა, აბორტს გავიკეთებდი“ (სურ. 3).¹⁸

„მაგდანა: „ჩემს მაწონს რუსულ ბაზარზე არ შევიტან!“ – ეს ქართული მემიკ (სურ. 4) უშუალო კავშირშია რუსეთ-უკრაინის ომის საინფორმაციო რეზონანსთან: 2022 წლის 6 მარტს, რუსულმა საინფორმაციო სააგენტომ, „რია ნოვოსტიმ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთის ვეტერინარისა და ფიტოსანიტარული ზედამხედველობის ფედერალურმა სამსახურმა (როსსელხიზნადზორი) 15 ქართულ კომპანიას რუსეთში რძისა და რძის პროდუქტების მიწოდების ნება დართო. რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ გაჟღერებულმა ინფორმაციამ, რომელსაც წინ უძღოდა უკრაინაში შეჭრის გამო რუსეთისათვის საერთაშორისო სანქციების დაწესება, ქართულ მედიაში ვნებათაღელვა გამოიწვია და მყისიერად აისახა სოციალურ მედიაში „მაგდანას მემის“ ვირუსული გავრცელებით.

დასასრულ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე: საომარი მოქმედებების ვითარებაში, თუნდაც თანამედროვე ულტრატექნოლოგიურ პირობებში, შუძლებელია ურიცხვი და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციების იმგვარად გადამოწმება, როგორც ამას სტატიის დასაწყისში ნახსენები თუკიკიდე აკეთებდა; ისეთი სანდო მედიასაშუალებების, როგორც თუნდაც ბი-ბი-სია, მასალებში ხშირად ფიგურირებს რემარკა, რომ შეუძლებელია ინფორმაციის გადამოწმება და რედაქცია ეყრდნობა პირველწყარო(ებ)ს; ეს წყაროები, უმეტესწილად, ან ერთი, ან მეორე მხარის თვალსაზრისს, ინტერპრეტაციას წარმოადგენს და მათი შეჯერებისას, უკეთეს შემთხვევაში, შეგვიძლია „შუალედური“ აზრი შევიქმნათ, სიმართლე და სიზუსტე კი ინფორმაციის გვაგში, დებინფორმაციის, პროპაგანდისა და პიარის მძლავრ ნაკადებში ხშირად ისე იკარგება, როგორც ნემსი თივაში.

16 Brown, Ghost of Kyiv, Times, 2022; კიევის აჩრდილი, on.ge, 2022.

17 უკრაინული საფოსტო მარკა, commersant.ge, 2022.

18 Киев, polit.reactor, 2022.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ანთაძე, გ., აპოკალიფსის ოთხი მხედარი, 2022, https://mediacritic.ge/blog/-apokalipsis-otkhi-mkhedari?fbclid=IwAR2fHkA-iwoUGXbKrrMbLMKia_LLJKHdaOqYcOYA7ENmGrsczfpIvPrOsk
- ბურდული, ნ., რას ნიშნავს „დენაციფიკაცია“ და რატომ აირჩია კრემლმა უკრაინაში ომის „გასამართლებლად“, 2022, https://netgazeti.ge/life/609559/?fbclid=IwAR1jOpgeyIbT6dEYCuDKVuKRF_QRETM90TfM0suqHZRgRFITBUu_QZPg8jA
- გობალიშვილი, ნ., კალანდაძე, მ., რუსული დებინფორმაციის ტენდენციები საქართველოში უკრაინის ომის პარალელურად, 2022, https://idfi.ge/ge/tendencies_of_russian_disinformation_in_georgia_along_with_the_war_in_ukraine
- ვივიანი, ჯ., მასობრივი კომუნიკაცია, თბ., 2013
- ირეტონი, შ., პოპეტი, ჯ., ჟურნალისტიკა, „ყალბი ამბები“ და დებინფორმაცია, 2021.
- კოვაჩი, ბ., როზენსტილი, ტ., ჟურნალისტიკის ელემენტები, თბ., 2006.
- კიევის ანრდილი არ დაღუპულა - რას ამბობენ უკრაინაში ლეგენდად ქცეულ მფრინავზე, 2022, <https://on.ge/story/103246-კიევის-ანრდილი-არ-დაღუპულა-რას-ამბობენ-უკრაინაში-ლეგენდად-ქცეულ-მფრინავზე>
- ოფიციალური კომუნიკაცია რძის პროდუქტების რუსეთში ექსპორტთან დაკავშირებით, 2022 https://idfi.ge/ge/official_communication_regarding_the_export_of_dairy_products_to_russia
- AGENCE FRANCE-PRESSE, La désinformation s'apparente à une «3e guerre mondiale», selon une ministre ukrainienne, 2022, <https://www.lesoleil.com/2022/03/26/la-desinformation-sapparente-a-une-3e-guerre-mondiale-selon-une-ministre-ukrainienne-2d450e60ef55721c2b89b8fb4a944ce0>
- Brown, L., Ghost of Kyiv is alive in all pilots fighting for Ukraine, says air forc, 2022
- <https://www.thetimes.co.uk/article/ghost-of-kyiv-who-shot-down-more-than-40-russian-aircraft-dies-in-battle-q3sq0hztX>
- Dixon, R., Raghavan, S., sabelle Khurshudyan, I., L. Stern, D., Russia's war dead belie its slogan that no one is left behind, 2022, https://www.washingtonpost.com/world/2022/04/08/russia-war-dead-soldiers-bodies/?fbclid=IwAR3211mBJIQNQ01lswcRRUEUImYod0VBjxFFxIdlSc813W_3gzL_00-yX4
- Desinformation - censure, hacking: opinion, nerf de la guerre en Ukraine, 2022
- <https://www.radiofrance.fr/franceculture/podcasts/la-grande-table-idees/desinformation-censure-hacking-l-opinion-nerf-de-la-guerre-en-ukraine-5807198>
- Rainsford, S., Russian soldiers abandoned near Kyiv, 2022, https://www.bbc.com/news/world-europe-61571855?fbclid=IwAR1-2ICX6NZgCfzqRsyioqGLNqbZ2ndybqxyqIRtrkjdpT0Tt3jfHi0kJyoРоссияне одобряют войну в Украине. В чем кроется причина, 2022, https://www.youtube.com/watch?v=C_39n3AUQv0
- Поддерживают ли россияне войну в Украине?, 2022, <https://www.bbc.com/russian/news-60662712>
- https://tsargrad.tv/shows/pokazhite-jeto-svoim-detjam-skazka-pro-vanju-i-mykolu_503800?fbclid=IwAR3d3iMq0Jf8_HcfN4GyUptGWXhpzsaN4TDMo6Rv5k97BKugypnW0kHSLK0
- <https://formulanews.ge/News/65868>
- ТРИБУНАЛ В ЛДНР: «АЗОВЦЕВ» ЖДУТ СУД И РАССТРЕЛ – МАЛОФЕЕВ, 2022, https://tsargrad.tv/news/tribunal-v-ldnr-azovcev-zhdut-sud-i-rasstrel-malofeev_559948
- Германская разведка сообщила о воюющих в Украине «российских неонацистах». Они и сами этого не скрывают, 2022, <https://www.bbc.com/russian/news-61524914?fbclid=IwAR3qhWoyeUJrHtOYNQYiMN8U9zzxE1DimMv3iPDVdliewME3n24T3U8oFGk>
- В Москве появились плакаты, обвиняющие шведов в нацизме. Что с этим не так?, 2022 <https://www.bbc.com/russian/media-61357641>

- РУССКИЕ СВОИХ НЕ БРОСАЮТ! ПРИШЛО ВРЕМЯ ПОМОЧЬ, 2022, https://tsargrad.tv/news/russkie-svoih-ne-brosajut-prishlo-vremja-pomoch_517321
- https://www.theguardian.com/world/2022/mar/28/kremlin-russia-families-return-dead-bodies-ukraine-volodymyr-zelenskiy?fbclid=IwAR3YaNovPBFuq_y3QsRmx3ggWxouRBIM-UkZ21wsa5-DzvRPhK5bsF689vU
- https://www.euronews.com/2022/05/14/ukraine-prepares-to-send-bodies-of-dead-russian-soldiers-back-home?fbclid=IwAR35XMr3KOR_sXbMpPYItDNzSbYU3y-Bgk60EUNsBq05qAayDqOuvkPJPos
- https://www.aljazeera.com/gallery/2022/4/3/photos-ukraine-retreating-russians-leave-trail-of-dead-bodies-near-kyiv?fbclid=IwAR3U1dhkmkW9-EDaXAbJDaBp-l6adumlyexyNLwlKc0hTcp_EEEE4HarHY
- Адамс, П., Уговор и критика: как Владимир Зеленский завоевывает общественное мнение на Западе, 2022, [https://www.bbc.com/russian/features-60867804?xtor=AL-73-\[partner\]-\[bbc.news.twitter\]-\[headline\]-\[russian\]-\[bizdev\]-\[isapi\]&at_campaign=64&at_custom3=BBC%20News%20Russian&at_custom2=facebook_page&at_custom1=link&at_custom4=681D707C-ABF8-11EC-8138-F4D94744363C&at_medium=custom7&fbclid=IwAR2uURwCLqNrgBH_1pLL7kbwWrYX_TZpuxPn20KdbjN7tX6kOjLR36KXSrg](https://www.bbc.com/russian/features-60867804?xtor=AL-73-[partner]-[bbc.news.twitter]-[headline]-[russian]-[bizdev]-[isapi]&at_campaign=64&at_custom3=BBC%20News%20Russian&at_custom2=facebook_page&at_custom1=link&at_custom4=681D707C-ABF8-11EC-8138-F4D94744363C&at_medium=custom7&fbclid=IwAR2uURwCLqNrgBH_1pLL7kbwWrYX_TZpuxPn20KdbjN7tX6kOjLR36KXSrg)
- <https://www.facebook.com/nikoloz.loladze>
- <https://commersant.ge/ge/post/ukrainuli-safosto-marka-warwerit-ruskiy-voenniy-korabl-idi-ebay-ze-1000-dolarad-iyideba>
- http://polit.reactor.cc/post/5141903?fbclid=IwAR2nJvifr9eTSYrvhjNY0EUbKr1dYz347oomTinZjFzszv_chDfvsx6zoul

INFORMATION, DISINFORMATION, AND PROPAGANDA IN THE ARSENAL OF WAR

Laura Kutubidze, Lali Dzamukashvili

Keywords: Information, disinformation, propaganda, public relations (PR), information warfare, denazification, social media, memes, Zelensky

In a strongly established global information society, when World War III was thought to be a war of information, the world has found itself facing a danger of very “real”, “traditional” world war: with tanks, bombings, mistle attacks, and—unlike in the previous two world wars—drones! The most crucial difference is the choice of weapon: the power of information.

The Russia-Ukraine war, along with the unprecedented mobilization on the Ukrainian side leading to the Western world’s alliance against Russian aggression, is also characterized by reaching the maximum capacity of the most powerful weapon today, the “media machine”. The potential of traditional media could never compare to the limitless possibilities that social media possesses for spreading either information or misinformation in practically unlimited virtual time and space.

In the mainstream news agendas regarding the Russia-Ukraine war, it is clear that the “Overton windows” of Russian propaganda and conspiracy are mostly placed “inside”, that is, aimed at Russia’s huge domestic audience, while the Ukrainian news arsenal dominates effectively in the global news mode.

“**A**nd regarding the narrative of events, far from permitting myself to derive it from the first source that came to hand, I did not even trust my own impressions, but it rests partly on what I saw myself, partly on what others saw for me, the accuracy of the report being always tried by the most severe and detailed tests possible. My conclusions have cost me some labor from the want of coincidence between accounts of the same occurrences by different eye-witnesses, arising sometimes from imperfect memory, sometimes from undue partiality for one side or the other.”¹

These words were written by the Greek “correspondent” Thucydides, who strived to convince his audience that he could be trusted, in the introduction of his review of the Peloponnesian War. He wanted people to know the truth about the war. The chronicler of the Peloponnesian War probably could not have imagined that, 2500 years after his statement, in the age of limitless possibilities for obtaining, verifying, and distributing information, the global information space would be virally “infected”

by false information and that itself information would become a powerful weapon.

If we consider the works of Thucydides, i.e. antique era, as a starting point, we can assume that from there to the present, the circles of processing information always come to one point, the most infallible principle of true and accurate storytelling/news is the constant verification of information; and in this sense, nothing has changed since the Thucydides era!

